2419-17-1-2-202002271750

N 17-1/2419
27/02/2020

სსიპ „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის“ რექტორს
ზურაბ ვადაჭკორიას

მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, N33

რეკომენდაცია

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21–ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ზურაბ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობისა“ და ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ განცხადებების საფუძველზე შეისწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სავალდებულოდ სასწავლო სახელმძღვანელოების, „სასამართლო მედიცინა“ და „ბიოეთიკა“, შინარსიის შესაბამისობა ადამიანის ძირითად უფლებებთან.

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ ზემოაღნიშნულ **სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, საგანმანათლებლო სფეროში აფერხებს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის რეალიზებას და ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული მიზნების მიღწევას.**

(ა) ფაქტობრივი გარემოებები

ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობის“ წარმომადგენელმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს 2018 წლის 2 ნოემბერს N15536/18 და 2019 წლის 14 ივნისს N7856/19 განცხადებებით მომართა რეაგირებისთვის.[1] განცხადებების თანახმად, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში საგნების

[1] ააიპ. თანასწორობის მოძრაობის 2018 წლის 02 ნოემბრის N 15536/18 და 2019 წლის 14 ივნისის N7856/19 განცხადება, ააიპ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“-ს 2019 წლის 4 ნოემბრის N13808/19

„სასამართლო მედიცინა და საექიმო სამართლის“, ასევე „ბიოეთიკის“ სწავლებისას სავალდებულო ლიტერატურის სახით გამოყენებული სახელმძღვანელოს გარკვეულ ქვეთავებში მითითებული შინაარსი არ შეესაბამება „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს.[2]

სასწავლო კურსში - „სასამართლო მედიცინა და საექიმო სამართალი“, სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის სახით გამოიყენება 2011 წელს გამოცემული სახელმძღვანელო **„სასამართლო მედიცინა“**, ბესარიონ კილასონიას ავტორობით.[3] სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სისხლის სამართლის კოდექსის 138-ე მუხლის პირველი ნაწილის ძველი რედაქცია, რომლის შინაარსიც საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა. უნივერსიტეტს არ მიუთითებია კონკრეტული ლიტერატურა, რის საფუძველზეც სტუდენტებს ექნებოდათ განახლებული რეგულაციის გაცნობის შესაძლებლობა. სახელმძღვანელოში გამოყენებულია ტერმინები: „პედარასტია,“ „აქტიური პედარასტი,“ „პასიური პედარასტი“, „გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი“.[4] ამასთან, სახელმძღვანელოში ტრანსსექსუალიზმი განმარტებულია, როგორც "სქესობრივი თვითშეგნების დარღვევა“ და „სადიზმი“.[5]

საგანში ბიოეთიკა სავალდებულო სასწავლო ლიტერატურის სახით გამოიყენება სახელმძღვანელო **„ბიოეთიკა“**, ბელა მამულაშვილის ავტორობით.[6] სახელმძღვანელოში გამოყენებულია შემდეგი ტერმინები: „ჰომოსექსუალიზმის ცოდვა“, „ჰომოსექსუალისტები“, „განსაკუთრებული სქესობრივი ორიენტაცია“, „ფარული ჰომოსექსუალური გადახრები.“[7] ამასთან, სახელმძღვანელო განმარტავს, რომ „მედიცინაში ბოლომდე გარკვეული არ არის საკითხი, ითვლება თუ არა ჰომოსექსუალიზმი განსაკუთრებულ სქესობრივ ორიენტაციად თუ იგი ფსიქიკური მოშლილობის ერთ-ერთი ფორმაა“.[8] სახელმძღვანელოში გამოყენებულია აივ-დადებითი სტატუსის მქონე პირების მიმართ მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მქონე განმარტებები.[9] ბიოეთიკის სახელმძღვანელოში ხელოვნურ აბორტთან დაკავშირებით განმარტებულია, რომ „ხელოვნური აბორტის ყოველი შემთხვევა უნდა შევაფასოთ როგორც ბოროტება“.[10] ამასთან, ამავე სახელმძღვანელოს განმარტების თანახმად, „აბორტი არ შეიძლება ჩაითვალოს ოჯახის დაგეგმვის ჩვეულებრივ ღონისძიებად კონტრაცეპტივებთან ერთად“.[11]

განცხადება, ააიპ. თანასწორობის მოძრაობისა და ააიპ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის 2019 წლის 11 დეკემბრის N15410/19 ერთობლივი განცხადება.

[2] იქვე.

[3] ააიპ. თანასწორობის მოძრაობის 2018 წლის 02 ნოემბრის N 15536/18 განცხადება ასევე იხ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2018 წლის 22 ნოემბრის წერილი MES 01901509692.

[4] ააიპ. თანასწორობის მოძრაობის 2018 წლის 02 ნოემბრის N 15536/18 განცხადება, ასევე იხ. ასევე იხ. ბესარიონ კილასონია, „სასამართლო მედიცინა“ თბილისი, 2011 გვ. 301-302.

[5] იქვე.

[6] ბელა მამულაშვილი „ბიოეთიკა“ იხ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 02 ოქტომბრის MES 31901317606 წერილის დანართი, სილაბუსი, გვ. 4, პარ. 1 ასევე იხ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 05 ივლისის წერილი MES 81900908066.

[7] თანასწორობის მოძრაობის 2019 წლის 14 ივნისის N7856/19 განცხადება.

[8] იქვე.

[9] იქვე, ასევე იხ. ააიპ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“-ს 2019 წლის 4 ნოემბრის 13808/19 განცხადება.

[10] ააიპ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“-ს 2019 წლის 4 ნოემბრის 13808/19 განცხადება.

[11] იქვე.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე რეკომენდაციაში მოცემული ტექსტები შესაფასებელ წიგნებში არსებული პრობლემური ჩანაწერების მხოლოდ ნაწილია და არ წარმოადგენს ამომწურავ ჩამონათვალს.[12]

ბესარიონ კილასონიას ავტორობით 2011 წელს გამოცემულ წიგნთან მიმართებით, უნივერსიტეტმა დაადასტურა მოძველებული საკანონმდებლო ჩანაწერების გამოყენების პრობლემურობა და მისი განახლების საჭიროება. ამასთან, გამოთქვა მზაობა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის ბოლო ვერსიაში განხორციელებული ცვლილებები სახელმძღვანელოში ასახოს 2022 წლის შემდგომ.[13]

მიუხედავად ამ წიგნთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მიერ გამოთქმული პოზიციისა, რომ კონკრეტულ ქვეთავებთან მიმართებით მომზადდებოდა განახლებული მასალები და დაურიგდებოდა სტუდენტებს, აპარატისთვის ბუნდოვანია თუ როდის განხორციელდება აღნიშნული და ამ დროისთვის რა მასალაზე დაყრდნობით ისწავლება პრობლემური ქვეთავები.[14]

ბელა მამულაშვილის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელო „ბიოეთიკა"-სთან მიმართებით, საქმისწარმოების ფარგლებში წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „თანასწორობის მოძრაობისა" და ა(ა)იპ „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის" ერთობლივი რეკომენდაციები სახელმძღვანელოს გაუმჯობესების შესახებ.[15] აღსანიშნავია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული რეკომენდაციები 2019 წლის 13 დეკემბერს საკუთარი პოზიციის წარმოდგენის თხოვნით გადაეგზავნა უნივერსიტეტს, თუმცა აპარატს პასუხი დღემდე არ მიუღია.[16]

(ბ) სამართლებრივი შეფასება

ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება მოიცავს ცოდნასა და უნარებს, რაც თავისმხრივ, გულისხმობს ადამიანის უფლებებისა და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ ცოდნის მიღებას და ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებას.[17] ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ღირებულებებს, დამოკიდებულებებსა და ქცევას, რაც ნიშნავს ადამიანის უფლებათა სწავლების შედეგად იმგვარი ღირებულებათა სისტემისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებას, რომელიც მიმართულია ადამიანის უფლებათა მაღალი სტანდარტით დაცვაზე.[18]

---

[12] ააიპ. თანასწორობის მოძრაობის 2018 წლის 02 ნოემბრის N 15536/18 და 2019 წლის 14 ივნისის N7856/19 განცხადება, ააიპ. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი"-ს 2019 წლის 4 ნოემბრის N13808/19 განცხადება, ააიპ. თანასწორობის მოძრაობისა და ააიპ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის 2019 წლის 11 დეკემბრის N15410/19 ერთობლივი განცხადება.

[13] თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2018 წლის 22 ნოემბრის MES 01801509692 წერილი.

[14] თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 2019 წლის 18 ივნისის MES 11900776642 და 2019 წლის 17 სექტემბრის MES 21901215680 წერილები.

[15] ააიპ. თანასწორობის მოძრაობისა და ააიპ. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის „2019 წლის 11 დეკემბრის 15410/19 ერთობლივი განცხადება.

[16] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 13 დეკემბრის 13-5/13407 წერილი.

[17] Plan of Action for the third phase (2015–2019) of the World Programme for Human Rights Education Report of the Office of the United Nations High Commissioner for Human Rights გვ. 4.

[18] იქვე, გვ. 4.

ადამიანის უფლებათა შესახებ ცოდნის მიღების შედეგად, სტუდენტი არამხოლოდ სრულყოფილად უნდა ფლობდეს აღწერილ ინფორმაციას, არამედ თავადაც მზად უნდა იყოს უფლებათა დასაცავად კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად.[19]

აღსანიშნავია, რომ განათლებისადმი ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენება გულისხმობს, რომ ყველა საგანმანათლებლო კომპონენტი და პროცესი, კურიკულუმის, სასწავლო მასალებისა და მეთოდების ჩათვლით, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისაკენ იყოს მიმართული.[20] ამასთან, გაეროს მიერ დადგენილი სტანდარტის მიხედვით, აუცილებელია, ზოგადად, სწავლების პროცესში გამოყენებული სასწავლო მასალები „გადაიხედოს და განახლდეს [იმდაგვარად, რომ] ისინი შეესაბამებოდეს ადამიანის უფლებათა პრინციპებს“.[21]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით: *„განათლების უფლება, დემოკრატიულ საზოგადოებაში, განუყოფელია ადამიანის უფლებათა გავრცელებისაგან და შესაბამისად, აკისრია იმდენად ფუნდამენტური როლი, რომ მისი შემზღუდველი განმარტება შეუსაბამოა საკუთრივ მუხლის მიზანთან“.*[22] ამასთან ერთად, სასამართლომ დაამკვიდრა მიდგომა, რომ განათლების უფლება საერთაშორისო სამართალში არსებულ სხვა შესაბამის უფლებათა დაცვის დოკუმენტებთან ჰარმონიაში უნდა იქნეს გაგებული.[23] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-13 მუხლის თანახმად:

„სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის განათლების მიღების უფლებას. ისინი თანხმდებიან, რომ განათლება მიმართულ იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას“.[24]„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთი ძირითადი მიზანია: *„ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის“.*[25] კანონის თანახმად, ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს „სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას“.[26] ეს კანონისმიერი ვალდებულება ეკისრებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასაც.

---

[19] იქვე.

[20] იქვე, გვ. 7.

[21] Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010 გვ. 13.

[22] Guide on Article 2 of Protocol No.1 to the European Convention on Human Rights 31/08/2019 პარაგრაფი 8, გვ. 6 იხ. https://bit.ly/311Ypim 28/01/2020.

[23] იქვე, პარაგრაფი 10.

[24] ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მიღებული პაქტი, მიღებული 1966 წლის 16 დეკემბერს, საქართველოს მიმართ ძალაშია 1994 წლის 03 აგვისტოდან, მე-13 მუხლის პირველი პუნქტი.

[25] „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2004 წლის 21 დეკემბერს, 2019 წლის 01 ნოემბრის მდგომარეობით. მესამე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

[26] იქვე, მესამე მუხლის მეორე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი.

სახალხო დამცველის განმარტავს, რომ კანონის ეს მიზანი გაგებული უნდა იყოს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ არამხოლოდ თავისი ფუნქციების განხორციელებისას ეთიკური, ადამიანის უფლებათა დაცვისა და დემოკრატიის ღირებულებების განმტკიცებისკენ მიმართული მოქალაქეების ჩამოყალიბების სოციალური პასუხიმგებლობა, ამასთან თავის წიაღში ადამიანის უფლებათა შესახებ თანამედროვე გამოწვევების (მაგ. დისკრიმინაციის აღმოფხვრა) თაობაზე გლობალური ცოდნის გენერირების პასუხისმგებლობაც“.[27]

ამ კონტექსტში, საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ტერმინს „გაუკუღმართებული სქესობრივი კავშირი“ საქართველოს კანონმდებლობა აღარ ცნობს. მიუხედავად ამისა, შესწავლის პროცესში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია ალტერნატიული მასალა, რომლითაც ჩანაცვლებულია სტიგმის შემცველი ტერმინები (ხსენებულთან ერთად მაგ. „პედარასტი“). ამასთან, ბიოეთიკის სახელმძღვანელოში ხელოვნურ აბორტთან დაკავშირებით მოცემულ ჩანაწერებთან მიმართებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებების არსებობისას და დადგენილი წესით, ქალებს აქვთ უფლება მიმართონ აბორტს.[28] საგულისხმოა, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ამ საკითხთან დაკავშირებულ დანაწესებს სწორედ ოჯახის დაგეგმვის ქვეთავში მოიცავს.[29]

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ მკვეთრად რელიგიურ ჭრილში ხელოვნურ აბორტთან დაკავშირებული საკითხების წარმოჩენა, არამხოლოდ გადაფარავს, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ, ქალის პირადი ცხოვრების უფლების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ სასწავლო მასალაში კონკრეტული პირთა ჯგუფისადმი მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მატარებელი სიტყვების ან/და მოძველებული ინფორმაციის/ტერმინების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს სტუდენტებში ადამიანის უფლებათა დაცვისკენ მიმართული ღირებულებების ჩამოყალიბებას.

სახალხო დამცველის შეფასებით, საზოგადოების ნაწილში არსებული ფობიები და სტიგმები მნიშვნელოვნად ასაზრდოებს მათ შორის სხვადასხვა დაუცველ ჯგუფთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას (მაგალითად, აივ-დადებითი ადამიანების, ლგბტ+ თემის წევრების მიმართ). განსაკუთრებით პრობლემურია, როდესაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენებული სამედიცინო ლიტერატურა შეიცავს ადამიანის უფლებებთან შეუსაბამო და სტერეოტიპებზე დამყარებულ შინაარსს, ვინაიდან პროფესიულ წრეებში ჰომოფობიური განწყობების გაღვივება, შესაძლოა, შემდგომში, მათ მიერ საქმიანობის განხორციელებისას უთანასწორო მოპყრობის წინაპირობაც გახდეს. ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლების მიღებისას ადამიანის უფლებებთან შესაბამისი შინაარსის მქონე

[27] Draft plan of action for the second phase (2010-2014) of the World Programme for Human Rights Education, Human Rights Council, A/HRC/15/28 27 July 2010 გვ. 9-10.

[28] „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 1997 წლის 10 დეკემბერს, 2019 წლის 19 თებერვლის მდგომარეობით, 139-140-ე მუხლები.

[29] იქვე.

სახელმძღვანელოების გამოყენება კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა უმაღლესი განათლების სფეროში სახელმწიფოს მიერ გაცხადებული ზემოხსენებული მიზნისა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებისთვის.

პოზიტიურად უნდა შეფასდეს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ განცხადებებში მითითებული სასწავლო შინაარსის ადამიანის ძირითად უფლებებთან შეუსაბამობის დადასტურება. მიუხედავად ამისა, სახალხო დამცველი თვლის, რომ სასწავლებლის მიერ ამ ეტაპზე არ იქნა გატარებული ეფექტიანი ზომები იდენტიფიცირებული პრობლემების აღმოფხვრისა და სასწავლო მასალის ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის.

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოებში არსებული ჩანაწერები არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა განმარტების ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ამდენად, ხელს უშლის საგანმანათლებლო სფეროში ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის განმტკიცებას და ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების გაცხადებული მიზნების მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ რეკომენდაციით:

- მიმდინარე სასწავლო წლის ფარგლებში უზრუნველყოთ სასწავლო კურსების, **„სასამართლო მედიცინა და საექიმო სამართალი“**, ასევე **„ბიოეთიკა“** სწავლებისას ადამიანის ძირითად უფლებებთან შესაბამისი სასწავლო მასალის გამოყენება. მათ შორის, სახელმძღვანელოთა არსებულ რედაქციებზე ცვილებების მომზადება დანართის სახით და სასწავლო პროცესში დანერგვა.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული რეკომენდაცია და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

.